

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება -

მეთოდოლოგიური გამოწვევები და პოლიტიკის შედეგები

შესავალი

ენერგეტიკული უსაფრთხოება რთული, მრავალგანზომილებიანი ცნებაა, რომელიც ბევრ სფეროსა და ასპექტს მოიცავს. მის განმარტებას და პრაქტიკულ გამოყენებას ყველა ქვეყანა თავისი კონკრეტული გარემოებების მიხედვით ახდენს. ამ მხრივ საქართველო, თავისი მაღალი დამოკიდებულებით მონოპოლისტ მომწოდებლებზე და სეზონურ ჰიდრო ენერგიაზე, სტრატეგიული სატრანზიტო ენერგეტიკული ნაკადებით და ოკუპირებული ტერიტორიებით, განსაკუთრებულ და სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს. თუმცა, უპირველესად მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს და მიღებულ-იქნას ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სწორად შეფასდეს ენერგეტიკული საფრთხეები და გამოიკვეთოს სამოქმედო პრიორიტეტები. სამწუხაროდ, ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევები და ამ თემის საგნობრივი განხილვები საქართველოში მწირია და არსებით პასუხებს ვერ იძლევა. შესაბამისად, არც დადგენილი განსაზღვრებები და შეთანხმებული პარამეტრებია, რითაც ის უნდა შეფასდეს. ენერგეტიკული (ან ელექტროენერგეტიკული) უსაფრთხოება ან დამოუკიდებლობა ცხადდება საშუალო ან გრძელვადიან სამომავლო მიზნად და დაიყვანება იმპორტის შემცირებამდე, ხოლო ამ თემაზე დისკურსი ძირითადად პოლიტიკურ განცხადებებით შემოიფარგლება და რეალური პოლიტიკის მეგზურობას ვერ ახდენს. ჩამოყალიბებული მეთოდის არქონა ასევე იწვევს პოლიტიკოსთა დაბნეულობას და მიზნობრივი ქმედების ნაკლებობას. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნული უსაფრთხოების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და საჭიროებს ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების ერთდროული გათვალისწინებას. ეს ურთულესი ამოცანაა და შესაბამისად, საჭიროა მეთოდოლოგია, რომელიც დარგის სპეციალისტებს და პოლიტიკოსებს შეაძლებინებს ამ საკითხების დაბალანსებას და საზოგადოების და ინვესტორების ნდობის მოპოვებას. წინამდებარე პუბლიკაციაში მოკლედ შევაფასებთ საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკას და მისი გაუმჯობესების მიმართულებებს. ამისთვის: მიმოვიხილავთ ენერგეტიკული უსაფრთხოების გავრცელებულ განმარტებებს და ძირითად პრინციპებს; შევაფასებთ საქართველოში ენერგოუსაფრთხოების დისკურსს და მის ძირითად ხარვეზებს; მოვნიშნავთ გამოსწორების მიმართულებებს და პირველ ნაბიჯებს.

ამ და შემდგომ პუბლიკაციებში ჩვენი ანალიზი დაყრდნობა ძირითად დამყობას, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება უმაღლეს ეროვნულ ფასულობას წარმოადგენს, რასაც უნდა ემსახურობოდეს სახელმწიფო ინსტიტუტები და ენერგეტიკული პოლიტიკა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთაშორისო განმარტებები

ენერგეტიკული უსაფრთხოებას, როგორც ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, საუკუნოვანი ისტორია აქვს და დღესაც საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ერთერთ განმსაზღვრელი ფაქტორია.

ენერგეტიკული უსაფრთხოების გავრცელებული განმარტებები უფრო სტატიკურ მდგომარეობას და საბოლოო მიზანს აღწერს, ვიდრე რეალობაში არსებულ დინამიურ გარემოს და სამოქმედო მიმართულებებს. პრაქტიკული ენერგეტიკული პოლიტიკის სფეროში გადმოსატანად, ქვეყნები ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და შესაბამის სამიზნე მაჩვენებლებს თავიანთი მეთოდოლოგიით, კონკრეტულ ისტორიულ მომენტის შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავებულად, სხვადასხვა კრიტერიუმით განსაზღვრავენ. ამის გამო ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში განმარტებების რაოდენობა ასეულს აჭარბებს და ხშირად დაბნეულობას იწვევს.

ენერგეტიკული უსაფრთხოების გავრცელებული კლასიკური [განმარტება](#) ეკუთვნის **დანიელ იერგინს**¹. ის ენერგეტიკული უსაფრთხოებას განმარტავს როგორც “ენერგიის საკმარის და საიმედო მიწოდების უზრუნველყოფას გონივრულ ფასად, ისე, რომ ეს საფრთხეს არ უქმნიდეს ქვეყნის ძირითად ეროვნულ ღირებულებებსა და მიზნებს”. ამ განმარტებით გამოიყოფა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამი ძირითადი მიმართულება (საკმარისობა, საიმედოობა, ფასი) და მისი ძირეული კავშირი ეროვნულ უსაფრთხოებასთან.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA) ენერგეტიკულ უსაფრთხოებას განმარტავს როგორც „ენერგიის წყაროების საიმედო (უწყვეტ) ხელმისაწვდომობას მისაღებ (გონივრულ) ფასად“. ეს განმარტება არსებითად იმეორებს უსაფრთხოების მიმართულებებს, თუმცა შემდგომ მათ სექტორების მიხედვით აკონკრეტებს, ყოფს რა ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ელექტრობის და კრიტიკული მინერალების უსაფრთხოებად.

ენერგეტიკული გაერთიანება (Energy Community), ევროკავშირის მოდელით, უფრო პრაქტიკულად განმარტავს მიწოდების უსაფრთხოებას ([security of supply](#))² და განსაზღვრავს საჭირო ქმედებებს: „უზრუნველყოს ენერგიის საიმედო და უწყვეტი მიწოდება, რაც აუცილებელია ყოველდღიური ცხოვრების, ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ეს მოიცავს სტრატეგიას ელექტროენერგიის კრიზისების თავიდან აცილების, მათთვის მზადების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად კი აერთიანებს რისკების მართვის გეგმებს ელექტროენერგიის, გაზისა და ნავთობის კუთხით, რაც კრიზისებისა და გარდამავალი პერიოდების დროს ენერგიის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია.“ პრაქტიკაში ეს გამოიხატება ევროკავშირის შესაბამისი ღირებულების და რეგულაციების მიღებით და შესრულებით³.

ამ ფართოდ ცნობილ მაგალითებს მიღმა, სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების მიერ შემუშავებულია ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაზღვრისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდოლოგიები — დაწყებული ევროკავშირის მიწოდების უსაფრთხოების ჩარჩოთი და აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის მედეგობის მოდელებით, დასრულებული იაპონიის მრავალსაყრდენიანი (multipillar) სტრატეგიითა და სხვადასხვა აკადემიური ინდექსებით. ეს მრავალფეროვნება ასახავს ეროვნულ კონტექსტებსა და პრიორიტეტების განსხვავებას და ხაზს უსვამს მთავარ დასკვნას: **ყოველ ქვეყანას და პერიოდს სჭირდება საკუთარი, სპეციფიკურად მორგებული მიდგომა, ხოლო ზედაპირული,**

¹D. Yergin, “Energy Security in the 1990s” *Forreign Affaris*, Vol.67, No. 1, 1988

² [Security of supply - Energy Community Homepage](#)

³ Directive 2005/89/EC ელექტროენერგიის და ინვესტიციების უსაფრთხოება Regulation (EU) 2017/1938 – გაზის მიწოდების უსაფრთხოება, Regulation (EU) 2019/941 – ელექტროენერგეტიკული რისკებისთვის მზაობა, Directive 2009/119/EC – ნავთობის მინიმალური მარაგები და ა.შ.

უნივერსალური განსაზღვრებები საკმარისი არ არის ხარისხიანი ენერგეტიკული პოლიტიკისთვის.

ენერგეტიკული უსაფრთხოების დისკურსი და პოლიტიკა საქართველოში

საქართველო, თავის ენერგეტიკულ პოლიტიკაში ასევე იყენებს ზემოთ მოყვანილ ენერგეტიკული უსაფრთხოების ზოგად განმარტებებს და ამავე დროს როგორც ენერგეტიკული გაერთიანების ხელმომწერი მხარე, ნერგავს და ძირითადად ასრულებს მისი კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის დირექტივებს და რეგულაციებს. თუმცა შეფასების კრიტერიუმების და გრძელვადიანი სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა და ჩამოყალიბება ისევ გამოწვევად რჩება და დაიყვანება გარე დამოკიდებულების ზედაპირულ შეფასებებზე. ამ მხრივ ბუნდოვანება და დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობები ვერ იძლევა საკმარისად დამაჯერებელ პირობებს სტრატეგიული, გრძელვადიანი გადაწყვეტილებების და პროექტების განსახორციელებლად.

ენერგეტიკული უსაფრთხოების განხილვის ზოგადი ჩარჩო მოცემულია 2011 წლის **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში**. აქ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა განისაზღვრება როგორც ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი და ერთერთი ეროვნული ინტერესი, რომელიც, სხვა ეროვნულ ინტერესებთან ერთად, ემსახურება ქვეყნის მთავარი ღირებულებების დაცვას. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტში მოყვანილი მწყობრი სქემა ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზის მეთოდოლოგიაში აღარ გადაიზარდა და უფრო მეტიც, მას შემდეგ ეროვნული უსაფრთხოების რისკები სათანადოდ აღარ გადაფასებულა, რაც სრულფასოვან ენერგეტიკული ანალიზის შესაძლებლობას ზღუდავს.

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა (პოლიტიკა) განიხილავს ენერგეტიკული უსაფრთხოების კონკრეტულ გამოწვევებს და ღონისძიებებს, თუმცა არ შეიცავს ქმედებათა კონკრეტულ გეგმას. საანგარიშო მიზნებისთვის, გამოყენებულია ენერგეტიკის და კლიმატის ინტეგრირებული სამოქმედო გეგმის (NECP) მიწოდება-მოხმარების საპროგნოზო სცენარები. ძირითადი სცენარი კი ენერგეტიკული უსაფრთხოების სამიზნე პარამეტრად იყენებს იზოლირებულად ელექტროენერგიის სექტორში კომბინირებულ (ელექტროენერგიის და გაზის) იმპორტ-დამოკიდებულებას, ამოცანად კი სახავს 2030 წლისთვის ამ დამოკიდებულების შემცირებას 21%-დან 15%-მდე (წყალმცირობის პერიოდში 25%-მდე). ასეთი მიდგომა არ ასხვავებს გაზის და ელექტრობის იმპორტის განსხვავებულ წყაროებს და რისკებს, არასრულად განიხილავს გაზზე დამოკიდებულების საფრთხეებს და ჭარბი ელექტროენერგიის გასაღების რისკებს.

ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფცია (კონცეფცია) უფრო შორს მიდის თავისი მოთხოვნებით და „ენერგოდამოუკიდებლობის“ მიზნად აცხადებს, რომ „2030 წლის 31 დეკემბრისთვის – განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა ადგილობრივად მოხმარებული

ელექტროენერგიის რაოდენობას უნდა გაუტოლდეს ან უნდა აღემატებოდეს⁴. ასეთი მოთხოვნით ზემოთმოყვანილი პრობლემები კიდევ უფრო მძაფრდება და ემატება თბოელექტროსადგურების უქმად დგომის ან ექსპორტზე მუშაობის ხარჯი. სრულად არ იხსნება ელექტროენერგეტიკული მომარაგების რისკები და დაუფარავი რჩება გაზით, ნავთობპროდუქტებით მომარაგების ტექნიკური და პოლიტიკური საფრთხეების მთელი წყება. უნდა აღინიშნოს, რომ *პოლიტიკა*, ამ მოთხოვნაში არ ემთხვევა *კონცეფციას*, მიუხედავად გაცხადებული შეთანხმებულობისა.

საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფორმატში **ევროპული კანონმდებლობის დანერგვა**⁵ ნაწილობრივ აკომპენსირებს ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის სისუსტეს, ძირითადად მიწოდების უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით. ევროკავშირის მოდელის და კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის და გაზის ქსელების **ათწლიანი გეგმები**, ასევე - გამანაწილებელი ქსელის **ხუთწლიანი გეგმები**. შეიქმნა ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების წესები, რაც მოიცავს ელექტროენერგიის კრიზისის რისკების შემცირების, პრევენციისა და მართვისთვის მომზადებულ დეტალურ წესებს და ინსტრუქციებს. ასევე ელექტროენერგიის უსაფრთხოების რისკებისა და კრიზისული სცენარების გამოვლენისა და შეფასების, სეზონური და მოკლევადიანი ადეკვატურობის შეფასების და საშუალო და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგიებს. ასევე იქმნება გაზის ქსელის **საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების გეგმები**. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ნავთობის (ნავთობპროდუქტების) და გაზის საცავების მოწყობა, რაც მოითხოვება ევროკავშირის მიერ, და ასევე წყალსაცავიანი ჰესები - რაც უსაფრთხოების საყრდენი შეიძლება იყოს.

ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმები (TYNDP)⁶ შეიცავს მოხმარების პროგნოზებს და მათი დაფარვის გზებს, ასევე - ახალი და სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის ჩამონათვალს რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგნოზირებული მოთხოვნის საიმედოდ დაკმაყოფილება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა კიდევ უფრო რადიკალურია, და მართალია 2034 წლისთვის არის გაწერილი, მაგრამ უკვე 2030 წელს, მზარდი მოხმარების პირობებში 12.7 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის (ანუ თითქმის დღევანდელი წლიური მოხმარების) ექსპორტს პროგნოზირებს. ეს მოთხოვნა კი არ შეესაბამება არც ენერგეტიკის და კლიმატის ინტეგრირებულ სამოქმედო გეგმას, არც დამოუკიდებლობის კონცეფციას და ალბათ არც რეალურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს. მოწოდების დამოკიდებულება კი ბაზარზე დამოკიდებულებით არის ჩანაცვლებული. შეიძლება ითქვას რომ ქსელის განვითარების გეგმები უფრო სექტორული დოკუმენტებია და მეტნაკლებად ასახავს შედარებით მოკლევადიან საპროექტო გეგმებს, თუმცა გრძელვადიან სცენარებში ნაკლებად სანდოა და არ არის შეთანხმებული სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან.

ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებს შორის შეუთანხმებლობა და მათგან აცდენილი პოლიტიკური გადაწყვეტილებები იწვევს სტრატეგიული პრიორიტეტების ბუნდოვანებას და ძალისხმევის გაბნევას სხვადასხვა, მათ შორის არაოპტიმალური მიმართულებით. ადვილი

⁴ „ენერგოდამოუკიდებლობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

⁵ [Georgia - Energy Community Homepage](#)

⁶ [Ten-Year Network Development Plan \(Approved\)](#)

ხდება საექვო პროექტების გამართლება და კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტების გადადება, რაც იწვევს ფინანსური, დროითი და ბუნებრივი რესურსების ფლანგვას. ამის გამორჩეული მაგალითია „ჰიდროსადგურების მაქსიმალური განვითარება“ რაც პრაქტიკულად, საექვო მემორანდუმების დარიგებაში გადაიზარდა და ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ჰიდროენერგეტიკასთან მეზობლობას. დღეისთვის გაცემულია მემორანდუმები 11 გიგავატ განახლებადი ენერგიის პროექტებზე, რაც სრულიად არარეალური მაჩვენებელია და რამდენჯერმე აღემატება მთელი ენერგოსისტემის დადგმულ სიმძლავრეს.

ამავდროულად, შეჩერებულია და ვერ ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პროექტები, როგორიცაა, მიწისქვეშა გაზსაცავი, ახალი ეფექტიანი კომბინირებული ციკლის თბოსადგურები და წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები. მათი განხორციელება შეამცირებდა გარე დამოკიდებულებას, სეზონურ დეფიციტს და გაზრდიდა სისტემის მედეგობას არსებითი რისკების წინაშე. ამის ნაცვლად მათი განუხორციელებლობა მხოლოდ ენერგეტიკული პოლიტიკის სისუსტეს მიაჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების დისკურსი და პოლიტიკა ფრაგმენტული და ზედაპირულია და არასაკმარისად ეყრდნობა სისტემატურ ანალიზს, რაც იწვევს ფინანსური, ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების არაოპტიმალურ გადანაწილებას, არსებითი პროექტების გაჭიანურებას და სტრატეგიულ სისუსტეს. **ენერგეტიკა ვერ ასრულებს თავის მთავარ ამოცანას, რომ იყოს ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ხელშემწყობი და არა ხელის შემშლელი.**

მომავალი ნაბიჯები და გასათვალისწინებელი გარემოებები

მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა მყარი მეთოდური საფუძვლების ჩამოყალიბება, პოლიტიკის ანალიზის უნარების და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების განვითარება და ეფექტური კომუნიკაცია იმისთვის, რომ შეიქმნას წინაპირობები არა მხოლოდ ტექტიკური, არამედ სტრატეგიული ნაბიჯების და პროექტებისთვის. ამისთვის, უპირველესად, საჭიროა ზოგიერთი დამკვიდრებული სტერეოტიპის გადახედვა და ანალიზის სწორ პრინციპებზე დაყრდნობა. მათ შორის გასათვალისწინებელია, გარემოებები რასაც ხშირად არ ექცევა სათანადო ყურადღება. კერძოდ:

- **ენერგეტიკული უსაფრთხოება სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილია.** ის არ დაიყვანება ენერგიის გარე წყაროებზე, მითუმეტეს რომელიმე ერთ წყაროზე (თუნდაც ელექტრობაზე) დამოკიდებულებამდე. ენერგეტიკული საფრთხეები, მოწოდების შეფერხების გარდა, მრავალ სხვა განზომილებას მოიცავს, მათ შორის - ფიზიკურ და კიბერ უსაფრთხოებას. ფიზიკური მოწოდების შეფერხებაზე არანაკლები საფრთხის შემცველია კიბერ შეტევები, ეკონომიკური ექსპანსია და პოლიტიკური გავლენების მოპოვება ენერგიის მიწოდების პროცესში მომწოდებელი ქვეყნების მიერ. **ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზი საჭიროებს ზოგად უსაფრთხოების ჩარჩოს**, რამაც უნდა განსაზღვროს დასაცავი ობიექტი და შეაფასოს საფრთხეები, გამოყოს პრიორიტეტები, რის მიხედვითაც იქნება შესაძლებელი ენერგეტიკული რისკების შეფასება.
- **ენერგეტიკული უსაფრთხოება არ არის რაიმე სტატიკური, მიდწევადი მდგომარეობა.** არ არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების მისაღები აბსოლუტური დონე, ყოველთვის არის

გაუმჯობესების საშუალება და საჭიროება, ხოლო დინამიურ და ურთიერთდაკავშირებულ ცვალებად გარემოში, ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, მუდმივად ჩნდება ახალი საფრთხეები და შესაძლებლობები. შესაბამისად **ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის მუდმივი პროცესი.**

- **ენერგეტიკულ უსაფრთხოებას აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი განზომილება.** ტაქტიკურ დონეზე ის განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის რეაგირების გეგმებით, რეზერვებით და პრევენციული ღონისძიებებით. სტრატეგიულ, გრძელვადიან დონეზე კი საჭიროა მუშაობა გრძელვადიანი პოლიტიკის ღონისძიებებზე და პროექტებზე, რაც მოიცავს ტექნოლოგიების დანერგვას, რეგიონული პროექტებს, გრძელვადიან სტრატეგიულ ხელშეკრულებებს, სტრატეგიული მნიშვნელობის მარაგებსა და უსაფრთხოების პროექტებს და ა.შ., რამაც უნდა განსაზღვროს ენერგეტიკული უსაფრთხოების სტატუსი ათწლეულების შემდეგ. არსებობს კონფლიქტი და რესურსებზე კონკურენცია გრძელვადიან და მოკლევადიან ენერგეტიკული უსაფრთხოების ამოცანებს შორის. ამ პირობებში მთავრობები, თავიანთი მოკლევადიანი პრიორიტეტებით, ბუნებრივად ირჩევენ მოკლევადიან ამოცანებს. საჭიროა გრძელვადიანი სტაბილურობის არაპოლიტიკური, დამოუკიდებელი, პროფესიული მექანიზმების დანერგვა.
- **ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ვერ იქნება ენერგეტიკული უსაფრთხოების რეალისტური მიზანი.** ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა პრაქტიკულად არ არსებობს, ვინაიდან იშვიათია სხვებისგან იზოლირებული და სრულად თვითკმარი ქვეყანა. თუ იმპორტიორი ქვეყნები იმპორტის შეწყვეტის ან გაძვირების რისკებს უფრთხიან, ექსპორტიორებს გასაღების ბაზრების უსაფრთხოება სჭირდებათ (ეს შეიძლება დავინახოთ რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობების გადახედვის მაგალითზე უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე).
- **გარე წყაროებზე დამოკიდებულების პროცენტული სიდიდე არასაკმარისი ინდიკატორია** ენერგეტიკული უსაფრთხოების შესაფასებლად. რეალობაში ქვეყნების გარე წყაროებზე დამოკიდებულების მაჩვენებელი იცვლება +100%-დან (ლუქსემბურგი) -700 პროცენტამდე (ნორვეგია) და მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია ნულთან ახლოს (მაგ. უზბეკეთი, მალაიზია) [არის](#)⁷. თუმცა ეს მაჩვენებელი არ ასახავს სეზონურ და კონკრეტულ ენერგიაშემცველზე დამოკიდებულებას, ასევე საერთოდ არ ითვალისწინებს დამოკიდებულების რეალურ საფრთხეებს, მაგალითად, გარე დამოკიდებულების მაჩვენებლით, საქართველო, თავისი 80%-იანი დამოკიდებულებით 22-ე ყველაზე ენერგოდამოკიდებულ ქვეყნებს შორის, თუმცა ძნელი სათქმელია რომ ის უფრო საიმედოდ არის უზრუნველყოფილი ვიდრე მაგალითად ბელგია (87%-ით - მე-14), ან იაპონია (90%) ან თუნდაც ლუქსემბურგი, რომელიც 100% იმპორტზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ ეს მონაცემი პირდაპირ არ ასახავს უსაფრთხოებას და საჭიროა უფრო სიღრმისეული დეტალური ანალიზი, ენერგიაშემცველების და რისკების გათვალისწინებით.
- **ენერგეტიკული უსაფრთხოების უფრო სწორი საზომია ენერგიის მიღებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ჯამური რისკი, რაც შეიძლება ქვეყნის მთავარ ღირებულებებს, ინტერესებს და საზოგადოების ფუნქციონირებას დაემუქროს.** ენერგეტიკული დამოკიდებულების რისკები ბევრად უფრო ფართო და მრავალგანზომილებიანია, ვიდრე წლიური, ან თუნდაც სეზონური იმპორტის მოცულობებით ან პროცენტული ზომით შეიძლება გაიზომოს.

⁷ [Net energy imports by country, around the world | TheGlobalEconomy.com](#)

- **პრიორიტეტების გამოყოფა და ღონისძიებათა ოპტიმიზაცია.** ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად შეიძლება ასეულობით სხვადასხვა (პრევენციის თუ რეაგირების, დივერსიფიკაციის და ა.შ.) ქმედება გატარდეს და ყველა დადებითად შეფასდეს. თუმცა, ვინაიდან რესურსები და დრო ყოველთვის შეზღუდულია, აუცილებელია პრიორიტეტული მიმართულებების და ღონისძიებების გამოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება მწირი შესაძლებლობების არაეფექტიანად გამოყენება და ნაკლებმიზნობრივი ხარჯი. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის ხარისხი სწორედ იმით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად **სწორედ ხდება მაღალრისკიანი პრიორიტეტების გამოკვეთა და რამდენად ეფექტიანი ქმედებები მიიღება მათ შესამცირებლად.**
- **იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების ძალისხმევა უნდა შეესატყვისებოდეს რისკების შემცირების სხვა ღონისძიებებს.** ნაკლები იმპორტის შემთხვევაში პოლიტიკური რისკები მართლაც მცირდება, მაგრამ ეს ასევე შეიძლება გაკეთდეს პარალელური და ზოგჯერ უფრო ეფექტიანი გზებით, როგორიცაა: მიწოდების და მოხმარების დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული დიპლომატიით და რისკების დაბალანსება, შიგა მედეგობის ამაღლება, ენერგოეფექტიანობის ზრდა და რეზერვების შექმნა. შიდა წარმოების ზრდა აუცილებელია, მაგრამ, ეკონომიკის ზრდის ფონზე შეიძლება ვერც მოიტანოს იმპორტის შემცირება და შეიძლება გადაჭარბებულ ხარჯებთან ან სხვა, მაგალითად საექსპორტო ბაზრის რისკებთან იყოს დაკავშირებული
- **ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველია დაგეგმვა,** მასთან დაკავშირებული მონაცემები, ცოდნა და ანალიტიკური შესაძლებლობები და უწყებათაშორისი კოორდინაცია. ენერგეტიკული უსაფრთხოება უნდა უმჯობესდებოდეს როგორც მოკლევადიან, ასევე - გრძელვადიან პერსპექტივაში. ენერგეტიკა გრძელვადიანი, ინერციული დარგია, მდგომარეობის შეცვლა მყისიერად შეუძლებელია და მოითხოვს დიდ დროს პროექტების მობილიზების და განხორციელებისთვის. ამიტომ, დღევანდელ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მომავალი ენერგეტიკული უსაფრთხოების რეალისტური ამოცანების დაგეგმვაც. დღევანდელი გადაწყვეტილებები კი იმოქმედებს ათწლეულების და შესაძლო ასწლეულის განმავლობაში.⁸ ამასთან, დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა აძლიერებდეს.

სრულფასოვანი ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზი და პოლიტიკის ჩამოყალიბება რთული და შრომატევადი, მრავალგანზომილებიანი პროცესია, სადაც გადამწყვეტია მრავალი ორგანიზაციის, სპეციალისტის და პასუხისმგებელი პირის ჩართულობა და კოორდინირება ერთიანი ამოცანების გადასაჭრელად. სარწმუნო მონაცემები და პროფესიული პროცესი აადვილებს როგორც კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღებას, ასევე - მათ დაფინანსებას და შესრულებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

⁸ მაგალითისთვის - საქართველოს დღევანდელი ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთერთი საყრდენია სამხრეთკავკასიური მილსადენით გაზის ტრანსპორტირების 2002 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოფციური და დამატებითი გაზი, აქედან ოფციური გაზის მიღება 2066 წლამდე შეიძლება, ხოლო დამატებითი გაზის ხელშეკრულებას ვადა 2026 წლის ბოლოს ეწერება.

ენერგეტიკული უსაფრთხოების დისკურსი და ანალიტიკური უზრუნველყოფა საქართველოში ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ ხარისხიან და შეთანხმებულ ენერგეტიკულ პოლიტიკას. ევროპული ნორმატივებით გათვალისწინებული ან/და დონორული პროექტების დახმარებით შექმნილი ენერგეტიკული უსაფრთხოების დოკუმენტები მნიშვნელოვანი ნაბიჯია ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებაში, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს გამოწვევებს. ისევ გამოწვევად რჩება სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელება.

საქართველოსთვის, თავისი 80%-იანი გარე დამოკიდებულებით „ენერგეტიკული დამოუკიდებლობა“ მეტად არარეალისტური ამოცანაა მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. ასევე არსაიდან არ ჩანს, რომ „ელექტროენერგეტიკული დამოუკიდებლობა“, მით უმეტეს გაგებული როგორც წლიური მიწოდების და მოხმარების ნულოვანი ბალანსი, ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების ოპტიმალური ან ეფექტიანი მიზანია. ასეთი ცნებებზე დაყრდნობა მხოლოდ პოლიტიკის ანალიზის და დაგეგმვის პროფესიულ სისუსტეს მიანიშნებს და მათ შესრულებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი ბანკებიდან დაფინანსების მოძიებაც ნაკლებ ალბათურია.

ენერგეტიკული დაგეგმვის, პოლიტიკის ანალიზის და შემუშავების **ინსტიტუციური და პროფესიული სისუსტე თავად წარმოადგენს ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევას**, ვინაიდან არ იძლევა საშუალებას არსებული დროითი, ინსტიტუციური და ფინანსური რესურსები ოპტიმალურად იქნეს მიმართული ენერგეტიკული უსაფრთხოების მაღალი რისკებისკენ. აუცილებელია ენერგეტიკული პოლიტიკის ანალიზის მეთოდური, ინსტიტუციური და პროფესიული უნარების მკვეთრი გაუმჯობესება, მისი რეალურ პოლიტიკასთან დაკავშირება.

ამისთვის საჭიროა:

- **შეიქმნას საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასების ჩარჩო მეთოდოლოგია** და მისი ინსტიტუციური თუ პროფესიული უზრუნველყოფის ფორმები; ასეთი მეთოდოლოგია უნდა დაეყრდნოს ენერგეტიკული რისკების სრულფასოვან ანალიზს და არა მხოლოდ იმპორტის წლიურ მოცულობებს.
- **დაისვას საკითხი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებაზე**, რამაც საფუძველი უნდა შეუქმნას ენერგეტიკული უსაფრთხოების დაგეგმვას;
- **ჩამოყალიბდეს და განვითარდეს დარგის კვლევითი და ანალიტიკური სტრუქტურული ერთეულები**, გაძლიერდეს კავშირები აკადემიურ სფეროსთან და მულტიდისციპლინურ კვლევებთან;
- **სასურველია აღსრულდეს კონცეფციის მართებული რეკომენდაცია**, „რომ მომავალში ენერგეტიკული სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებისთვის არსებობდეს დარგის კვლევითი დაწესებულება ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც იმუშავებს მსგავსი ტიპის დოკუმენტების შემუშავებაზე და უზრუნველყოფს დარგში პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ღონისძიებების კოორდინირებას.“

მურმან მარგველაშვილი,
ნოემბერი 2025